



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მორიგი სხდომის

ო ქ მ ო №10

ქ. ბათუმი

2018 წლის 27 ივლისი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

ე ს ო რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

თამაზ სალუქვაძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
ლაშა სირაბიძე	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
გოჩა მგელაძე	საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
ირაკლი პატარიძე	საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ზურაბ ნაკაიძე	საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე;
დimitრი ჭეიშვილი	საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ომარ მახარაძე	საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
ნატალია ზოიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ბესარიონ გოგოტიშვილი	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე;

ნატალია ძიმიგური	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
ანზორ დევაძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
მუხამედ ართმელაძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	საკრებულოს წევრი;
როინ ზოიძე	საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურიძე	საკრებულოს წევრი;

სხდომას ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ :

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ე. ლომაძე;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მ. მეტრეველი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი- მ. დარჩია;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე და ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სამართლებრივ აქტებზე ჩატარებულია საკრებულოს კომისიის სხდომები და წარმოდგენილია დადებითი დასკვნები. მან სხდომის მონაწილეებს, საკრებულოს წევრებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გონიოსა და კვარიათის სანაპირო ზოლში მდებარე, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მიწის ნაკვეთების ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

3. „ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის ფასადის ნაწილის შეთანხმების სავალდებულოების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 თებერვლის 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

4. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მიღებული III და IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ფასადების საგარანტიო პერიოდის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

5. „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის 50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - მამუკა დარჩია)

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთია)

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

11. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების /აღმზრდელელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: - 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 2 (ნ. დუმბაძე, ლ. ანთაძე)

საკრებულოს თავმჯდომარემ - ს. თებიძემ საკრებულოს წევრებს მიმართა საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი წესით მოკლე განცხადებების გაკეთების შესაძლებლობის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ზ. ნაკაიძემ დასვა შეკითხვა ქალაქში პლაჟის ტერიტორიაზე განთავსებულ შეზღონებთან დაკავშირებით, სადაც გაუსაძლისი მდგომარეობაა. მან თხოვნით მიმართა ბათუმის მერიას და ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციას კანონის შესაბამისად რეგულაციის დაცვის თაობაზე.

საკრებულოს წევრმა ნ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ უფასო სასადილოებში შემოწმებისას გამოვლენილი იქნა ელექტრონული ქსელის გაუმართაობა, რის გამოც ერთი თვეა არ მიმდინარეობს ბენეფიციართა რეგისტრაცია და მიმართა შესაბამის სამსახურებს აღნიშნულ პრობლემას გაუწიონ კონტროლი.

საკრებულოს წევრმა ლ. სირაბიძემ წამოაყენა წინადადება მერიის სამსახურის უფროსების, ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელების საკრებულოს სხდომაზე საჭიროების შემთხვევაში დასწრების თაობაზე, რაზედაც ლ. ანთაძე და საკრებულოს რიგი წევრები დაეთანხმნენ.

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ დასვა შეკითხვა ქალაქში ფეხით სავალ ნაწილებში კაფეების მეპატრონეების მიერ გამოტანილი მაგიდების თაობაზე, შეუძლებელია ფეხით გავლა და ფეხით მოსიარულები ვალდებული არიან გადავიდნენ მანქანით სავალ ნაწილზე. უბედურების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია შესაბამისმა სამსახურებმა უზრუნველყონ წამოჭრილი პრობლემის მოგვარება.

საკრებულოს წევრმა რ. თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქში მშენებლობების გამო ღამის საათებში გაუსაძლისი მდგომარეობაა - ხმაურია. ტურისტული სეზონის განმავლობაში სამშენებლო პროცესის ხმაურის გამო ღამის საათებში გამოცხადდეს მორატორიუმი.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომებზე წამოჭრილ პრობლემებზე სხდომის ოქმის ამონაწერი გადაეგზავნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და აუცილებლად გაკეთდება რეაგირება.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ განაცხადა, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყების და სხდომის განახლების თაობაზე.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად დადგენილია, რომ ქირის წლიურ საწყის საფასურს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც უნდა იყოს ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით. წარმოდგენილი განკარგულების პროექტით მტკიცდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სარგებლობის უფლებით აუქციონის წესით განსაკარგი ქონების საწყისი წლიური სარგებლობის საფასური. ამასთან, სარგებლობის უფლებით გასაცემი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და შენობა-ნაგებობის განკარგვა განხორციელდება საზ.კვების ობიექტის მოწყობის პირობით.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა ტურისტული ობიექტების სააგენტოს მიერ გაცემული იჯარის ხელშეკრულებების შესახებ, სადაც ყოფილი სააგენტოს დირექტორის ინტერესია, რაზედაც მომხსენებელმა განმარტა, რომ ა. თევზაძის მუშაობის პერიოდში ხელშეკრულება არ გაფორმებულა, რაც შეეხება შემდგომი ქონების არსებობისას კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ მხარე ვალდებულია გადაიხადოს ნაცდური.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 1(ლ. ანთაძე)

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გონიოსა და კვარიათის სანაპირო ზოლში მდებარე, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მიწის ნაკვეთების ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმში, გონიოსა და კვარიათის დასახლებების მაცხოვრებლები ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილი განცხადებებით ითხოვენ გონიოსა და კვარიათის პლაჟის სექტორებში მდებარე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, ზაფხულის სეზონზე, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემას, მოძრავი საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გონიოსა და კვარიათის სანაპირო ზოლში 2018 წლის საზაფხულო სეზონზე საკურორტო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო და სხვა საპლაჟე ინფრასტრუქტურის განსათავსებლად, გამოაცხადოს ელექტრონული აუქციონები მითითებულ ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების ცალკეული მონაკვეთების სარგებლობაში გაცემის მიზნით.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწვეული აუდიტორის მიერ კვარიათის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთების 1კვ.მ მიწის საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 567.0 ლარის ოდენობით, ხოლო გონიოს დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ მიწის საწყისი საპრივატიზებო საფასური 524,0 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან და სსიპ „ბათუმის ბულვარი“-ს მიერ ხსენებული მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გასაცემად 2016 წლის განმავლობაში ჩატარებულ ელექტრონულ აუქციონებზე დადგენილი ქირის საწყისი საფასურებიდან, ასევე ამ მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით 2017 წლის განმავლობაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული მიწის ნაკვეთების 1 კვ.მ მიწის ფართობზე ქირის საწყისი წლიური საფასურები განისაზღვროს შემდეგნაირად: ა) საპლაჟო ინფრასტრუქტურის განთავსების უფლებით გაცემისას - კვარიათის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე - 29,0 ლარი, ხოლო გონიოს დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე - 27,0 ლარი, ბ) მსუბუქი კონს-

ტრუქციის ნაგებობის (გართობისა და კვების ობიექტი) განთავსების უფლებით გაცემისას - 60.0 ლარი; გ) ზომამცირე გემების და წყლის გასართობი საშუალებების (ბანანი, სკუტერი, პარაშუტი) ბაზირების უფლებით გაცემისას - 134,0 ლარი.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ აღნიშნა, რომ სრულიად უკანონოდ განთავსებულია ობიექტები. მან დასვა შეკითხვა ობიექტების მესაკუთრეების მიერ გადასახადის გადახდის თაობაზე, რაზედაც სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ასეთი პრობლემური საკითხები გვარდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მერიას აქვს სექტორების მიხედვით შედგენილი გეგმა, სადაც აღნიშნულია ბუნგალოებს შორის დაშორებები და შეზღონების განთავსება, გეგმის მიხედვით მოხდება აუქციონის გამოცხადება, რაც შეეხება გადასახადს წარმოდგენილი განკარგულების დამტკიცების შემდეგ ყველას იდენტიფიცირება მოხდება და მათზე იმ თანხის დაკისრება გაითვალისწინება, რაც დღეს სხდომაზე დამტკიცდება. დღევანდელი გადაწყვეტილება მიიღება არსებული ბიზნესისა თუ სხვა ობიექტის განვითარების ხელშეწყობისათვის. პოტენციურმა მყიდველმა მიწის შეძენის შემთხვევაში უნდა იცოდეს აიღებს თუ არა მშენებლობის ნებართვას.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 1(დ. ჭეიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, ნ. დუმბაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

3. „ქ. ბათუმის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის ფასადის ნაწილის შეთანხმების სავალდებულოების დადგენის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 17 თებერვლის 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ამასთან, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლითაც მუნიციპალიტეტის ორგანოებს დაევალათ უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა. ცვლილება შეეხო დადგენილების პრემბულას, რომელიც ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ნაცვლად: „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულო ადგენს“, მითითებული იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

4. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე ექსპლუატაციაში მიღებული III და IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შენობების ფასადების საგარანტიო პერიოდის განსაზღვრის შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 3 მაისის 25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ამასთან, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლითაც მუნიციპალიტეტის ორგანოებს დაევალიათ უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ცვლილება შეეხო დადგენილების პრეამბულას, რომელიც ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და პრეამბულაში მითითებული იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ნაცვლად „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 და 22-ე მუხლისა. ასევე დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით და შეიცვალა კანონის დასახელება ნაცვლად „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონისა, მითითებული იქნა საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

5. „ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მისი გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ამასთან, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან ამოქმედდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლითაც მუნიციპალიტეტის ორგანოებს დაევალიათ უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ცვლილება შეეხო დადგენილების 2¹ და 2² პუნქტებს, რომლებიც ამოღებული იქნა დადგენილებიდან, ვინაიდან ამ მუხლებით დადგენილ მოსაკრებელს, რომლის ოდენობა განისაზღვრა 400 ლარით, ძალაში იყო 2018 წლის 01 იანვრამდე. დადგენილების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, ჩანაწერი „ქ. ბათუმის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის მიერ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდის შემთხვევაში, გადახდილი უნდა იქნეს დადგენილ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტსა (კ-2) და გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს შორის სხვაობა ამ ინსტრუქციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში“ შეიცვალა ჩანაწერით „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო“-ს (შემდგომში - საბჭო) მიერ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდის შემთხვევაში, გადახდილი უნდა იქნეს დადგენილ განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტსა (კ-2) და გადამეტებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტს შორის სხვაობა ამ ინსტრუქციით დადგენილი წესითა და შემთხვევებში“, ვინაიდან დღეის მდგომარეობით აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სწორედ მითითებული საბჭო. მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, კერძოდ ჩანაწერი „წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის სამშენებლო ფართობი არის „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი“ შეიცვალა ჩანაწერით “წინამდებარე ინსტრუქციის მიზნებისათვის სამშენებლო ფართობი არის საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“-ს მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კ-2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი.“ ვინაიდან ამჟამად მოქმედია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები“. ასევე შეიცვალა დადგენილების მე-10 და მე-11 პუნქტები, სადაც ცვლილება შეეხო არქიტექტურის სამსახურისა და ზონალური საბჭოს დასახელების ცვლილებას. მე-4, მე-7, მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

6. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის 50 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფროსი - მირიან მეტრეველი)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ მოქალაქეთა მოთხოვნის გათვალისწინებით ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, ქალაქ ბათუმში, გონიო-კვარიათის ტერიტორიაზე საპლაჟე მონაკვეთები დააგეგმარა და დაჰყო სექტორებად (სულ 41 სექტორად). ქალაქ ბათუმში, გონიო-კვარიათის ტერიტორია წარმოადგენს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას (ლსზ), „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის ტერიტორიაზე დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 14 სექტემბრის №50 დადგენილებით დაწესებულია აღნიშნულ ზონაში ობიექტების განთავსებისათვის გარკვეული შეზღუდვები. მიზანშეწონილია შევიდეს აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება და კონკრეტულად აღნიშნული ზონისათვის დასაშვები სახეობების ჩამონათვალს დაემატოს ტერიტორიაზე დროებითი კონსტრუქციების - ბუნგალოების და სხვა კვების ობიექტების განთავსება, რაც ხელს შეუწყობს საკურორტო სეზონისათვის არსებული ტერიტორიის სწორ და ეფექტურ გამოყენება-განვითარებას. ასევე შესაძლებელი გახდება დაინტერესებულ პირებს დროებით სარგებლობაში გადაეცეთ ობიექტები, მისი გამოყენების და მოვლა-პატრონობის მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა -1(დ. ჭიშვილი)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 18
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ ო ს მ ი ნ ე ს :

7. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი - მამუკა დარჩია)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახური, მიმდინარე პერიოდში თავის საქმიანობას წარმართავს შიდა აუდიტის სამსახურის 2017-2019 წლების სტრატეგიული გეგმისა და 2018 წლის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, რომლებიც თავის მხრივ, ეყრდნობიან აუდიტის გარემოში შემავალი ცალკეული ობიექტების (მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალური ორგანიზაციებისა და მუნიციპალური პროგრამების) საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების ანალიზსა და შეფასებას. ყოველი კონკრეტული წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისას, შიდა აუდიტის მიდგომა არის უპირველესად მაღალი რისკის არეების დაფარვა, რა დროსაც გაითვალისწინება შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილების ადამიანური (4 აუდიტორი) და დროითი რესურსები.

ამგვარი მიდგომის გათვალისწინებით, 2017 და 2018 წლის გეგმებში აუდიტორული შემოწმებები დაიგეგმა იმ გათვლით, რომ ყოველ კვარტალში განხორციელდებოდა პარალელურ რეჟიმში ორი შემოწმება, რისთვისაც გამოყოფილი იქნებოდა 2-2 შიდა აუდიტორი. თითო აუდიტისათვის 2 აუდიტორის გამოყოფის მიზანშეწონილობა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ შესასწავლი საკითხების კომპლექსურობისა და მოცულობის გამო, კომპეტენციების გათვალისწინებით საქმიანობების გადანაწილებით, უზრუნველყოფილი იქნეს ადამიანური და დროითი რესურსის ოპტიმალური გამოყენება, და ამავდროულად, რაც არსებითად მნიშვნელოვანია - შენარჩუნებული იყოს შიდა აუდიტის ხარისხი.

შიდა აუდიტის ხარისხი თავის მხრივ, აუდიტირებული საკითხებისა და პროცესების თაობაზე შემაჯამებელი მოსაზრების ფორმულირების გარდა, მოიაზრებს ანგარიშგების დროულობას - ანგარიშის წარმოდგენას ისეთ გონივრულ ვადაში, რომ მიგნებამ და რეკომენდაციამ არ დაკარგოს თავისი აქტუალურობა და რეალურად ასრულებდეს საქმიანობის გაუმჯობესებისკენ მიმართული აქტივობის ფუნქციას.

განვლილი პერიოდის ანალიზმა ცხადყო, რომ ზემოხსენებული მიდგომის პირობებში, განხორციელებული რიგი აუდიტორული შემოწმებების შედეგების თაობაზე ანგარიშების წარმოდგენა, ცალკეულ შემთხვევებში, ხორციელდება გონივრული ვადების გადაცილებით. ასე მაგალითად:

- 2017 წელში ჩატარებული 8 გეგმიური და 1 არაგეგმიური აუდიტის შედეგების თაობაზე, წლის დასასრულისათვის ანგარიშების შედგენა ვერ მოესწრო 3 შემთხვევაში. აქედან 2 ანგარიში დღემდე დაუსრულებებელია;

- 2018 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული 2 აუდიტის ანგარიში დღემდე არ დასრულებულა.

- მიმდინარე წელს, არაგეგმიური აუდიტების (ამ ეტაპზე ორ ობიექტში) უცილებლობის გამო, ფაქტიურად შეჩერებული იქნა მეორე კვარტალში დაწყებული 2 აუდიტორული შემოწმება (1. შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი და 2. ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება). აღნიშნულ აუდიტებზე მუშაობა განახლებული იქნა ამა წლის 01 ივლისიდან (წლიურ გეგმაში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე).

როგორც ზემოთ აღინიშნა, მერიის შიდა აუდიტის სამსახურის შიდა აუდიტის განყოფილება შედგება 4 აუდიტორისგან: 1 განყოფილების უფროსი და 3 შიდა აუდიტორი (აქედან ამჟამად ერთი ვაკანტურია). თუნდაც 4 აუდიტორის (ვაკანსიის შევსების) პირობებში, პარალელურად 2-2 აუდიტის წარმოება - არაგეგმიური შემოწმებების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, შვებულებებისთვის და შესაძლო ავადმყოფობებისთვის აუცილებელი დროის გათვალისწინებით -

აღმოჩნდა არაპროდუქტიული, რადგანაც დასახული გეგმების შესრულება ხდება ვადაგადაცილებებით, რაც თავის მხრივ, უარყოფითად იქნება დასახული შიდა აუდიტის ხარისხის შიდა თუ გარე შეფასებების განხორციელებისას.

დღეისათვის აუდიტის გარემოს (შესამოწმებელი ობიექტების ერთობლიობას) შეადგენს - მერიის 8 სამსახური, 23 მუნიციპალური ორგანიზაცია და 27 საბიუჯეტო პროგრამა (90 ქვეპროგრამით). აღნიშნული ობიექტების საქმიან პროცესებთან დაკავშირებული რისკები მიდმივად საჭიროებენ იდენტიფიცირებას და მართვას, ხოლო შიდა აუდიტი მოწოდებულია შეაფასოს რისკების მართვის სისტემის ეფექტიანობა და გასცეს რეკომენდაციები შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ამასთანავე, შიდა აუდიტის განყოფილებაში დღეისათვის გათვალისწინებულია 2 ერთეული მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და 1 ერთეული მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (ამჟამად ვაკანტური) საშტატო ერთეული. შიდა აუდიტის სამსახურის აუდიტორთა თანამდებობრივი ინსტრუქციები და ფუნქციური დატვირთვა არის იდენტური, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ თანამდებობრივ ინსტრუქციაში, რანგირებათა შორის არსებული სხვაობის დასაბუთების მიზნით, II კატეგორიის უფროს სპეციალისტს, III კატეგორიის უფროს სპეციალისტთან შედარებით, დამატებით განსაზღვრული აქვს მხოლოდ ერთი ფუნქცია - „საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მერიის ერთიან სისტემაში კონსულტირებას შიდა აუდიტის განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე“. აღნიშნული განსხვავება ატარებს ფორმალურ ხასიათს, რადგანაც მსგავს კონსულტაციებს ახორციელებს ყველა კატეგორიის აუდიტორი და მეორეს მხრივ, ეს ფუნქცია თვისი სირთულითა და დატვირთვით, არ წარმოადგენს თანამდებობრივ რანგირებაში და სარგოში განსხვავების არსებობის საფუძველს. გარდა ფუნქციური აღწერილობების იდენტურობისა, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, შიდა აუდიტორთა ფაქტობრივი დატვირთვა ასევე იდენტურია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, დადენილების პროექტი ითვალისწინებს როგორც ვაკანტური, ისე დამატებით დაშვებული საშტატო ერთეულებისათვის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რანგის მინიჭებას.

ა ზ რ ი

გ ა მ ო თ ქ გ ე ს :

საკრებულოს წევრმა ლ. ანთაძემ დასვა შეკითხვა რეორგანიზაციის დასრულების შესახებ, სადაც ე. ბათუმის მერმა განაცხადა, რომ რეორგანიზაციის შედეგად დარჩა 500 ათასი ეკონომია, თუმცა წინა წლის და ამა წლის ბიუჯეტების შედარებისას გამოვლინდა, რომ მილიონ ლარზე მეტია სახელფასო ფონდი და არა 500 ათასი ეკონომია. რაც შეეხება ზოგად ტენდენციას, წინა სხდომაზე დაემატა მერიაში 19 საშტატო ერთეული, დღეს კი ემატება 2 საშტატო ერთეული. საბოლოო ჯამში 34 800 ლარზეა საუბარი. მისი თქმით საშტატო ერთეულების დამატების საკითხი უნდა დასრულდეს.

მომხსენებელმა განმარტა, რომ შიდა აუდიტორულ შემოწმებებს ატარებენ უმეტეს შემთ-

ხვევებში 2 კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში და წლის განმავლობაშიც, წლიური გეგმის შესაბამისად, ჯგუფების დატვირთვაც თანაბარია. შიდა აუდიტორთა მაქსიმალურად თანაბარი ფუნქციური და მოცულობითი დატვირთვის პირობებში, რანგირებაში განსხვავების არსებობა საფუძველს მოკლებულია და უფრო მეტიც - არსებობს დაბალი რანგის სპეციალისტის დემოტივაციის და მისი მუშაობის ხარისხის შემცირების რისკი. ამდენად, აუდიტის გარემოს გადაფარვის გაზრდის მიზნით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს შიდა აუდიტის განყოფილებისთვის 2 საშტატო ერთეულის დამატებას. ასეთ შემთხვევაში, პარალელურად მიმდინარე აუდიტებზე შესაძლებელი იქნება 3-3 შიდა აუდიტორის გამოყოფა, ხოლო დამატებითი აქტივობებზე (არაგეგმიური შემოწმებები, შვებულებები, ტრენინგები, ბიულეტენი) აუდიტორების გადანაწილება, მინიმალურად აისახება გეგმიური აუდიტის ხარისხზე. აუდიტის ფუნქცია მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, რეკომენდაციების გაცემას და მონიტორინგს. რეკომენდაციას სჭირდება დასრულება. შეთანხმებულ სამოქმედო გეგმის შესაბამისად ტარდება ცალკე მონიტორინგი და მოწმდება რეკომენდაციები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 18 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 1(ნ. დუმბაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15
წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, ა. მამულაძე,
რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

8. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 სექტემბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველოს კოდექსი“, 86-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად პეტიციის წარდგენის უფლება აქვთ შემდეგ სუბიექტებს: ა) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1%-ს და საერთო კრებას. ამავე კოდექსით 86-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კი “2. მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია პეტიციის წარდგენის უფლება მიანიჭოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა უფრო ნაკლებ რაოდენობას.” შესაბამისად დადგენილების პროექტის მიხედვით პეტიციის წარმოდგენილი ამომრჩეველების რაოდენობა განახევრდა და განისაზღვრა 0,5%, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მეტ ჩართულობას თვითმმართველობის საქმიანობაში. წარმოდგენილი პროექტის ინიციატორია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა - 2 (ნ. დუმბაძე, თ. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

9. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების შედეგად არ მოხდება საკრებულოს აპარატიდან დასაქმებულის განთავისუფლება, რადგან ზემოხსენებული საშტატო ერთეული (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში) დღეის მდგო-

მარეობით არის ვაკანტური. ამასთანავე, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განსახილველად წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს შრომითი ხელშეკრულების დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრებას 18-ის ნაცვლად 17-სა, რაც იძლევა საშუალებას საჭიროების შემთხვევაში ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტი, რომელიც შეასრულებს ზემოხსენებულ ფუნქცია-მოვალეობებს.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 17 საკრებულოს წევრი
არ ესწრებოდა: 2 (ნ. დუმბაძე, თ. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 14
წინააღმდეგი - 1 (ლ. ანთაძე)
არ მიიღო მონაწილეობა -2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

10. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

დანართი თან ერთვის.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თეზიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 17

წინააღმდეგი - 2 (ლ. ანთაძე, რ. თავართქილაძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
დადგენილების პროექტი.**

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

**11. „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების
ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების /აღმზრდელების
რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსე-
ბადობის ეტაპობრივად მისაღწევად სამოქმედო გეგმის
დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალი-
ტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი - მერაბ ქიძინიძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა შექმნას ხელსაყრელი გარემო თანამედროვე, ხარისხიანი, აღსაზრდელებზე ორიენტირებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის განვითარებისათვის და ბავშვების სასკოლო მზაობისათვის. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამ უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან, ქ. ბათუმში 8 ახალი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება აშენდა და დამატებით 1300-მდე აღსაზრდელს მიეცა შესაძლებლობა ესარგებლა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მუნიციპალური მომსახურებით. მიუხედავად ამისა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება. მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა რა საბავშვო ბაღების რეალურ შესაძლებლობებს, 2013 წლიდან, ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების საფუძველზე, თითოეული საბავშვო ბაღის სააღმზრდელო ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური რაოდენობა, როგორც დროებითი ღონისძიება, განისაზღვრა არაუმეტეს 35 აღსაზრდელით. ამ ეტაპისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს 32 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, რომლებიც ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ სტრუქტურული ერთეულებია. ბაღებში აღსაზრდელთა ზღვრული რაოდენობა 7 825-ია, ჯგუფების საერთო რაოდენობა კი - 225. თითოეულ ჯგუფს ემსახურება 2 აღმზრდელი და 1 აღმზრდელის თანაშემწე. საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა ჩარიცხვა წარმოებს ელექტრონული რეგისტრაციის წესით. საშუალოდ, წლის მანძილზე, მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში ჩარიცხვის მსურველთა დაუკმაყოფილებელი განაცხადების

რაოდენობა 800-მდეა. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფები უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი მაქსიმალური ოდენობების მიხედვით:

ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 25 ბავშვისა;

ბ) 3-დან 4 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში შეიძლება იყოს არაუმეტეს 30 ბავშვისა.

ამასთან, თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი თანაფარდობით:

ა) 2-დან 3 წლამდე ბავშვების ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:13-ზე მეტი;

ბ) 3-დან 4 წლამდე, 4-დან 5 წლამდე და სასკოლო მზაობის პროგრამის ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან თანაფარდობა არ უნდა იყოს 1:15-ზე მეტი; მოცემული რეალობიდან გამომდინარე, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დადგენილ ვადებში შესრულების მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის უმთავრესი გამოწვევებია:

ა) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ბ) სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფების დაკომპლექტება კანონით დადგენილი მაქსიმალური ოდენობების გათვალისწინებით;

გ) თითოეულ ჯგუფში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების ბავშვებთან აღსაზრდელებთან თანაფარდობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული გამოწვევების დასაძლევად, „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილია დამტკიცდეს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღმზრდელ-პედაგოგების/აღმზრდელების რაოდენობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან თავსებადობის ეტაპობრივად მისაღწევად თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდგომში – სამოქმედო გეგმა).

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა: 19 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 19

წინააღმდეგი - 0

და ა ა დ გ ი ნ ე ს :

**მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე:

სულიკო თებიძე

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე – საკრებულოს აპარატის უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს აპარატის იურიდიული
განყოფილების უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე – საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა
და ადამიანური რესურსების მართვის
განყოფილების უფროსი სპეციალისტი

